

Capaver® AkkordVlies G40 K

მინაბოჭკოვანი, სამღებრო სამუშაოებისთვის განკუთვნილი ფლიზელინი.
ბადისებრი წვრილი ბზარების გადამფარავი მასალა - ინტერიერში გამოსაყენებლად.



პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

Capaver AkkordVlies G40K - მინაქსოვილი/ფლიზელინი განკუთვნილია ბადისებრი ბზარების დასაფარად.

თვისებები

დიზაინის, ფერების, სიპრიალის ხარისხის, დეკორატიული მეთოდის უსაზღვრო ვარიაციების მეშვეობით, Capaver-ის ფლიზელინებით მიიღწევა მიმზიდველი, ინდივიდუალური და განსხვავებული კედლის ზედაპირები. იერსახის შეცვლის სურვილის შემთხვევაში, ზედაპირის განახლება მარტივად, სწრაფად და ეკონომიურად არის შესაძლებელი.

- ფარავს ბადისებრ ბზარებს
- მარტივად განახლებადი/გადამუშავებადი
- არ განიცდის დეფორმაციას, ლპობისადმი მედეგი
- სისველის მიმართ მაღალი მედეგობით

მასალის შემკვრელი

მინერალური მინის ბოჭკოებისგან დამზადებული მინაქსოვილი

ხელმისაწვდომი სახეობა

დასახელება	სტრუქტურა	წონა 1 მ ² -ზე	რულონის ზომა
AkkordVlies G40 K	fein	ca. 40 g	50 x ca. 1 m

შეფუთვის ზომები

ყუთში - 1 რულონი

შენახვის პირობები

შენახეთ მშრალ ადგილას.

თავსებადი პროდუქტები

- Capaver CapaColl VK
- Capaver CapaColl GK

მითითება

Capaver-ის მინაქსოვილები/ფლიზელინი დამზადებულია მინაბოჭკოებისგან, დიამეტრით > 5 µm (მკმ) და ამიტომ არ გადადის ფილტვებში. მინის ნაწილაკების უმაღლესი დონის ინტეგრაციის მიუხედავად, მაინც შესაძლებელია, რომ მინაქსოვილის გაჭრისას ეს ნაწილაკები ძალიან მცირე რაოდენობით განთავისუფლდნენ და მგრძობიარე კანის მქონე ადამიანებში გამოიწვიონ ქავილი. ეს ეფექტი სამუშაოს დასრულების შემდეგ ქრება.

ძაფების შიდა სტრუქტურა, ეკოლოგიურად სუფთა დანაფარებთან კომბინაციაში, ქმნის ტენიანობის მიმართ მაღალ მედეგობას, დახურული ქსოვილის ზედაპირს და მაღალ ელასტიურობას.

Capaver AkkordVlies G40 K-ით კონსტრუქციული/დინამიური ბზარების გადაფარვა შეუძლებელია

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია N. 606-ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	○	-	-
(-) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				



გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის მინერალური ბათქაშები, PIV ჯგუფის ცემენტის ხსნარების თაბაშირი და მზა ბათქაშები, თაბაშირი-მუყაო, თაბაშირის ფილები, ბეტონის ზედაპირები.

ზედაპირების მომზადება

ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და განმაცალკეველი ნივთიერებებისაგან თავისუფალი. გაითვალისწინეთ VOB, ნაწილი C, DIN 18363, პარაგრაფი 3-ის ნორმატივები. ასევე გასათვალისწინებელია კაპაროლის ტექნიკური ინფორმაცია N. 650. ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +5 C.

კონტრასტული ზედაპირები დაგრუნტეთ პროდუქტებით: Capadecor DecoGrund ან Caparol HaftGrund EG.

მითითება: Q2/Q3 ფითხი / თხელი თაბაშირის ფილები < 0,5 მმ:

თაბაშირის შემცველი, ხარისხის Q2/Q3 - დონის ჰიდრაულიკურად შემავსებელი ფითხის გამოყენებისას, რეკომენდებულია გამჭვირვალე, წყლის ბაზაზე არსებული საგრუნტავი მასალის გამოყენება.

თაბაშირის შემცველი Q3 ფითხების ალტერნატივა, შეიძლება იყოს პასტისებრი საფითხი მასალები.

დატანის მეთოდები

წებოს - გორგოლაჭით დატანა:

თანაბრად დაიტანეთ წებო/პროდუქტი: CapaColl VK გორგოლაჭით (ბენჯის სიგრძე - 18მმ) 1-2 ზოლზე - ტემპერატურის პირობების შესაბამისად..

ყურადღება! მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ წებო რაც შეიძლება თანაბრად გადანაწილდეს, რადგან ქსოვილის ქვეშ წებოს დაგროვება უარყოფითად იმოქმედებს საბოლოო იერსახეზე.

წებოს მიფრქვევის მეთოდით დატანა:

- წებოს მიფრქვევის მეთოდით დატანის პროცესი, მოითხოვს მინ. 3 ადამიანის ჩართულობას.
- წებო: CapaColl VK-ის მიმფრქვევი აპარატით დატანა - კედელზეც არის შესაძლებელი.
- წებო: CapaColl GK ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე უნდა გაზავდეს 20% წყლით.
- **მნიშვნელოვანია!** მიფრქვევით დატანისას მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მასალის მოხმარების რეკომენდირებულ რაოდენობას და თანაბარ განაწილებას, რომ ზედაპირზე არ მოხდეს წებოს რაოდენობის გადაჭარბება.

ფლიზელინის ზედაპირზე დატანა/გაკვრა

სტრუქტურული სხვაობების თავიდან აცილების მიზნით, არ მიაკრათ ფლიზელინი პირი-პირზე.

AkkordVlies G40 K-ისთვის ჩვენ გირჩევთ ორმაგი ნაკერის ჩაჭრას. ამისათვის მინაბოჭკოვანი ქსოვილი ერთმანეთზე უნდა გადადოთ - მაქს. 5სმ-ით და ამ ადგილას უნდა მოხდეს საკანცელარიო დანით ჩაჭრა.

პირი-პირზე მიწებება შეუძლებელია.

თითოეული "რულონის" მიწებებისას, გამოიყენება სამღებრო შპატელი ან გორგოლაჭი, რათა კედელსა და ფლიზელინს შორის არ დარჩეს ჰაერის ბუშტუკები. შიდა კუთხეებზე (კედელთან ან ქვრთან) ზედმეტად დატოვებული ქსოვილის ჩაჭრა ხდება შპატელის და დანის გამოყენებით.

გარე კუთხეების მიდამოში დაწებებისას, ქსოვილი უნდა მოიჭრას სიგრძეზე კიდეებში.

რჩევა პირველი ფენის შეღებისთვის:

AkkordVlies G40 K-ზე ოპტიმალური შეწოვის უნარის მისაღებად, შემდგომში სამღებრო სამუშაოებისთვის ხარჯის გასათანაბრებლად საჭიროა მიწებებულ ფლიზელინზე - წებოს ძალიან თხელი ფენის თანაბრად წასმა.

დანაფარვის სტრუქტურა

შუალედური ფენა (დანაფარი):

შუალედური ფენა ქმნის - სრულყოფილი საბოლოო დანაფარის საფუძველს. ზედაპირზე დატანილი ფლიზელინის გაშრობის შემდგომ, შუალედური ფენა დაიტანება - საბოლოო დანაფარის ფენის შესაბამის ტონში შეფერადებული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ AkkordVlies G40 K-ის შეღებისას, შუალედური ფენის/მასალის მოხმარების ხარჯი ზოგჯერ შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს საღებავების სტანდარტული მოხმარების მაჩვენებლებისაგან - ფლიზელინის ტიპური შეწოვის უნარის გამო.

დამასრულებელი ფენა/საბოლოო დანაფარი:

შესაფერისი საბოლოო დანაფარის შერჩევა დამოკიდებულია ისეთ საჭიროებებზე, როგორც არის სასურველი სიპრიალის ხარისხი ან ცვეთა მედეგობის უნარი. ყოველთვის დაიტანეთ საღებავი ერთი მოსმით, „სველი-სველზე“ მეთოდით. სასურველი სიპრიალის ხარისხის მიხედვით, შესაძლოა საჭირო გახდეს მეორე ფენის დატანაც.

შრობის დრო

საბოლოო დანაფარის დატანამდე, დაწებებული ფლიზელინის ზოლები საფუძვლიანად უნდა გაშრეს.

მიითითება

სტრუქტურული განსხვავებების თავიდან აცილების მიზნით, არასოდეს დაიტანოთ ფლიზელინი უკუღმა ზედაპირზე. ყოველთვის გამოიყენეთ ფლიზელინი მხოლოდ ერთი სანარმოო პარტიიდან, მიმდებარე კედლის ზედაპირებზე.

Capaver-ის კედლის მინა ქსოვილები/ფლიზელინები ყოველთვის გულდასმით მოწმდება სანარმოს დატოვებამდე, თუმცა მაინც შესაძლოა ნაწარმში გაერიოს ერთეული დეფექტიანი პროდუქტები. ასეთი ნაწარმი მონიშნულია მოჭრილ კიდეებზე და კომპენსირდება შესაბამისი დანამატებით. დეფექტიანი ნაწარმი არ ექვემდებარება რეკლამაციას. ფლიზელინის გაკვრამდე, მომზადების და ჭრის პროცესში ყურადღებით დაათვალიერეთ ფლიზელინის ზოლები და დარწმუნდით, რომ მასალა დეფექტებისგან თავისუფალია.

მიითითებები

სერთიფიკატები

გამოცდების სერთიფიკატები და ანგარიშები

- აალება და ცეცხლგამძლეობა DIN 4102, B1-ის მიხედვით
- არაწვადობა DIN 4102, A2 -ის მიხედვით

საღებავების აალების კლასების მიმოხილვა - Capaver Akkordvlies G40K-სთან კომბინაციაში

საღებავი	აალების კლასი
CapaTrend	A2
Malerit E.L.F.	A2
CapaMaXX	A2
MattLatex	A2
Indeko-plus	A2
CapaSilan	A2
Sylitol Bio-Innenfarbe	A2
Latex Samt 10	A2
Latex Satin 20	A2
Latex Gloss 60	A2
Amphibolin E.L.F.	A2
Nespri®Silan	B1
Premium Clean	B1
SG 201	B1
Premium Clean	B1

უტილიზაცია

Capaver-ის მინაქსოვილები/ფლიზელინი შეიძლება უტილიზირებულ იქნას, როგორც სამშენებლო ნაგავი.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია

აღ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge